ადრესატი:

კობა ლურსმანაშვილი
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

წერილის ნომერი:**01-682204617**
თარიღი: **15/02/2022**

2021 წლის პირველი იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მიერ
გაწეული მუშაობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

როგორც მოგეხსენებათ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 აპრილის N7 დადგენილებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხა განისაზღვრა პოლიტიკური თანამდებობის პირთა და პროფესიული საჯარო მოხელეთა 85 საშტატო ერთეულით და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა 48 ერთეულით. აქედან საშტატო ერთეულით დასაქმებულია 70, ვაკანსია არის 15. ადმინისტრაციული ხელშეკრულებით-45, ვაკანსია-3. ასევე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რაოდენობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით განსაზღრულია 32 ერთეულით და დასაქმებულია 32 პირი.

2021 წლის 11 ივნისიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ მუშაობა განაახლა ახალ საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში-MSDA.

2021 წლის 1 იანვრიდან დღემდე მერიაში შემოსულია 6731 კორესპოდენცია. მიღებულ კორესპონდენციებზე პასუხების გაცემა ხდება კანონით დადგენილ ვადებში. გასული დოკუმენტების რაოდენობაა-6417. ამ პერიოდისათვის გამოცემულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - 2471 ბრძანება, საკუთრების უფლებისაღიარების კომისიის-118 განკარგულება. სამსახურებრივი შიდა მოძრაობის- 1470 წერილი. სოციალურ საკითხებზე შემოსულია 2615 განცხადება. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის შესახებ -197 განცხადება.

მერიის მოსამსახურეთა საკადრო საკითხებთან დაკავშირებით ვაწარმოებთ პირად საქმეებს, ვამზადებთ სამართლებრივი აქტების პროექტებს, ვამოწმებთ მოსამსახურეების მიერ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონთ დადგენილი დოკუმენტაციის წარმოდგენის სისრულეს და შესაბამისობას, ავღრიცხავთ და კონტროლს ვუწევთ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვას. ვადგენთ მოსამსახურეთა შვებულებაში გასვლის გრაფიკს, ვაკონტროლებთ კანონით დადგენილ ვადაში დეკლარაციების წარდგენის პროცესს.

2018 წლიდან ხდება პროფესიული საჯარო მოხელეების შეფასება, რის საფუძველზეც 2020 წლის 6 იანვარს მოხდა კლასის მინიჭება(პირველი კლასი) პროფესიულ საჯარო მოხლეებზე.

მიმდინარე წელში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ ვაკანსიებზე გამოცხადდა 5 კონკურსი.

ნანა გიორგაძე

ადმინისტრაციული სამსახური-საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება-განყოფილების უფროსი